ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 25

19 მარტი , 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2
14 :00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვასილ ბარნოვის II ჩიხისთვის და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხისთვის მსახიობ გივი ბერიკაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ფრიდონ თოდუას სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის სავანეს სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის მხატვარ ირინა შტენბერგის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის იოსებ გრიშაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ალექსანდრე ყანჩელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მზია ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თინა ენუქიძის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის II ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მანანა ლოლაძის სახელის და რეხის III ქუჩის მონაკვეთისთვის მანანა ლოლაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ელისო ჭიპაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ მამულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

კენჭისყრის პროცედურის შემდეგ თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 15 საკითხი წარმოადგინა. როგორც მან აღნიშნა, კომისიის წევრების მხარდაჭერის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხებს კომისია 21 დღიანი ვადით საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს.

სხდომის თავმჯდომარის ინფორმაციით, კომისიამ აქტიურად იმუშავა დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის გივი ბერიკაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. სახელდებისთვის გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის პროცესში დადგინდა, რომ მთაწმინდის რაიონში არსებობს ვასილ ბარნოვის ქუჩის II ჩიხი, რომელსაც გეგმარებითი კავშირი არ აქვს ვასილ ბარნოვის ქუჩასთან. ხსენებულ გეოგრაფიულ ობიექტთან მდებარეობს ერეკლე ტატიშვილის ქუჩის ჩიხი. აღნიშნული ჩიხები ერთმანეთთან დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებებით განკუთვნილი გზით, რაც მათ ერთ დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამ ქუჩისთვის კომისიას სურს მსახიობ გივი ბერიკაშვილის სახელის მინიჭება.

სხდომაზე თინათინ ნიბლოშვილმა დედაქალაქის ქუჩებისთვის ყველასთვის ცნობილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ფრიდონ თოდუას და მეცნიერ-ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელების მინიჭების შესახებ ისაუბრა. კომისიის წევრებმა ღვაწლმოსილი ადამიანების დამსახურებასა და მოღვაწეობაზე

ისაუბრეს, განიხილეს აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოსული წერილები და ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის მიერ წარმოდგენილ ინიციატივას ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ფრიდონ თოდუას და სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელების მინიჭებას.

კომისიის სხდომაზე კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. შუამდგომლობით წერილს კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე გვიგზავნის.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისია მუშაობს სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩისთვის „სავანეს“ სახელის დაბრუნებასთან დაკავშირებით. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ასე ერქვა უბანს, რომელიც ეხლა ირინა შტენბერგის ქუჩასაც მოიცავს. რაც შეეხება ირინა შტენბერგის სახელს, კომისიის მხარდაჭერის შემთხვევაში მიენიჭება სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთი შესახვევს.

როგორც ცნობილია, კომისია მსჯელობს კრწანისის რაიონში იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის იოსებ გრიშაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. სახელდების მოთხოვნით კომისიას ზემოაღნიშნული ქუჩის და მის მიმდებარედ მცხოვრებმა მოსახლეობამ მომართა. სკვერს კრწანისის რაიონის გამგებლის მხარდაჭერით სულ ცოტა ხნის უკან ჩაუტარდა რეაბილიტაცია და კეთილმოეწყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიმდინარე წელს იოსებ გრიშაშვილს დაბადებიდან 130 წელი უსრულდება.

კომისიის წევრებმა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე მხარი დაუჭირეს ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭებას.

კომისიის სხდომაზე თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელის მინიჭებაზე იმსჯელეს. სახელდებისთვის კომისიას ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მოძღვრებმა და მრევლმა, ასევე საქართველოს

შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანებმა მომართეს. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ნარიყალას ტაძრის მშენებლობა რომან გვენცაძის და მისი თანამოაზრეების ინიციატივით დაიწყო და დასრულდა. თავად ტაძრის ეზოშია დაკრძალული. რაც შეეხება პროფესიულ მოღვაწეობას, რომან გვენცაძე არაერთი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელია. მათ შორის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენითაა დაჯილდოებული.

კომისიის გადაწყვეტილებით, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევს და მასთან არსებულ ერთ ჩიხს გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელი მიენიჭება.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, მ/წლის 9 აპრილს 30 წელი სრულდება შოთა რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედიიდან.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ არსებული მდგომარეობის ანალიზის შემდგომ გამოავლინა, რომ თბილისში მხოლოდ ოთხი გეოგრაფიული ობიექტი ატარებს 9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის, ეკა ბეჟანიშვილის, თამარ ჭოველიძის და მანანა მელქაძის სახელებს.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, საჭიროა, რომ თბილისის საკრებულომ იმსჯელოს თბილისში არსებული რიგი ქუჩებისთვის 9 აპრილს დაღუპულთა სახელების ეტაპობრივად მინიჭებაზე. მით უფრო, რომ თბილისის ქუჩები გენდერული თვალსაზრისით დაუბალანსებელია.

კომისიის ინიციატივით, 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპული ექვსი ქალბატონის სახელი ჩუღურეთის რაიონში მდებარე ქუჩებს მიენიჭება.

კომისიის წევრებმა კომისიის თავმჯდომარესთან ერთად სხდომა შეაჯამეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

19 მარტი , 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი